



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA010154643963318

20 / ივნისი / 2018 წ.
529/ს

ტყის ფონდიდან ამორიცხულ და მუნიციპალურ საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განხორციელებული სპეციალური ჭრების შედეგად მოჭრილი და სააგენტოსთვის გადმოცემული მერქნული რესურსის (ვერხვისა და კრიპტომერიის ჯიშის მრგვალი ხე-ტყე (მორი I; II; III და IV ხარისხის) –სულ - 115.508 მ3 საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N166) განმეორებით (2) გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 45-ე, 46¹-ე, 47-ე, 48-ე, 52-ე მუხლების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 15 იანვრის დასკვნის N5000210818, გურიის სატყეო სამსახურის უფროსის 2018 წლის 17 მაისის N9497/15 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 29 მაისის N10435/07 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N166, ტყის ფონდიდან ამორიცხულ და მუნიციპალურ საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განხორციელებული სპეციალური ჭრების შედეგად მოჭრილი და სააგენტოსთვის გადმოცემული, დასაწყობებული გურიაში, ქ.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი ჯაპანა-ში მერქნული რესურსის ფოთლოვანი და წიწვოვანი სახეობის (ვერხვი და კრიპტომერია) - მრგვალი ხე-ტყის (მორის- I; II; III და IV ხარისხის) საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტს (გ.ხაბეიშვილი) სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“, ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურს (ბ.კიწმარიშვილი) სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“, ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის გამზ. #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის
მოადგილე

გრიგოლი ბლიაძე

